

## მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდ. ბროლისწყალზე მცირე სიმძლავრის  
ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის  
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

5 სექტემბერი, 2013 წ.

### ზოგადი ხასიათის შენიშვნები და კომენტარები

განსახილველად წარმოდგენილი ანგარიშიდან ნათელია, რომ პროექტის გარემოზე ზემოქმედება ანალოგიურია იმ ზემოქმედებისა, რომელიც აღწერილი იყო „ყაზბეგი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში“, რომელზეც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გასცა უარყოფითი ეკოლოგიური ექსპერტოზის დასკვნა ა.წ. მარტში. ახლად წარმოდგენილ გზშ ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის ინიციატორი გვთავაზობს ზუსტად იმავე პარამეტრებისა და დიზაინის ჰესის მშენებლობას, რასაც წინა პროექტით გვთავაზობდა. იგივეა ჰესის დადგმული სიმძლავრე (6 მეგავატი), წყალმამღებისა და ჰესის განლაგების ადგილები/ნიშნულები, ჰესის ტიპი, დერივაციის მონაკვეთის სიგრძე, დერივაციული მილის ტრაექტორია, მშენებლობის პერიოდში გასაჩეხი ტყის მონაკვეთი და სხვა ჰაბიტატები, რომლებსაც დააზიანებს/გაანადგურებს პროექტი და ა.შ. რაც ყველაზე მთავარია, პროექტის მიხედვით, განზრახულია იგივე რაოდენობის წყლის დატოვება მდინარის ბუნებრივ კალაპოტში, რაც განსაზღვრული იყო წინა პროექტის დროს. აღნიშნულის ფონზე, გზშ ანგარიშის ტექსტი ისეა შედგენილი, რომ მაქსიმალურად იქნეს დაკნინებული ხდის ხეობის ბიომრავალფეროვნების ღირებულება, რათა საბოლოოდ გაკეთდეს დასკვნა - თითქოს ხდის ხეობაში ღირებული არაფერია და ამდენად არც არაფერი გაფუჭდება პროექტის განხორციელებით. თუმცა, ამან არ უნდა შეუქმნას წინააღმდეგობა ექსპერტებსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს როგორც შუალედური, ისე საბოლოო დასკვნისას წარმოდგინონ იგივე შენიშვნები, რაც გამოთქმული იყო წინა პროექტის განხილვისას.

ხდის ხეობაში ყაზბეგი ჰესის მშენებლობასა და ოპერირებასთან დაკავშირებულ ძირითად გარემოსდაცვით რისკს კვლავაც ბიომრავალფეროვნების შემცირება წარმოადგენს, გამოწვეული ჰაბიტატების განადგურებით/დევრადაციით/ფრაგმენტაციით, რაც საფრთხეს უქმნის ფლორისა და ფაუნის იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს. ასევე, აღსანიშნავია ხდის ხეობის უნიკალური, თითქმის ხელუხლებელი ლანდშაფტის, ფაქტიურად ბუნების ძეგლის, განადგურება. აღნიშნული უარყოფითი ზეგავლენა ძირითადად გამოწვეულია:

- მშენებლობის პროცესში - ტყის გაჩეხვით, დერივაციული მილის გათხრისა და გზების გაყვანის დროს ნიადაგის დაზიანებით, ხმაურით, ნაპირსამაგრი და სხვა დამცავი საშუალებების აშენებით და ა.შ. დამატებით, ბიოლოგიურ გარემოზე და ლანდშაფტზე ზემოქმედება მოხდება მშენებლობისათვის საჭირო დროებითი და მუდმივი ინფრასტრუქტურული ელემენტებით (გაბიონები და სხვ.) ასევე იმით, რომ მშენებლობის პერიოდში მდინარის ხარჯის ქვემო ბიეფში გატარება მოხდება მარცხენა ნაპირზე წინასწარ მოწყობილი განათხრების საშუალებით (გვ. 60).
- პროექტის ფუნქციონირებისას: მდინარის ბუნებრივ კალაპოტში 10 თვის განმავლობაში მხოლოდ 0,21 მ<sup>3</sup>/წმ ოდენობით წყლის დატოვებით. დამატებით, ბიოლოგიურ გარემოზე და ლანდშაფტზე ზემოქმედება მოხდება მშენებლობისათვის საჭირო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ელემენტებით.

- სხვადასხვა ეკოსისტემურ სერვისებზე პირდაპირი და კუმულატიური ზემოქმედებით.

წარმოდგენილ გზმ ანგარიშში, ტრადიციულად, გვხვება ის შეცდომები და უზუსტობები, რომლებიც ხშირად გადადის შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ მომზადებული ერთი ანგარიშიდან მეორეში (მაგალითად, კანონმდებლობასთან დაკავშირებით). ასევე, ტრადიციულად, ანგარიშში დიდი ადგილი უკავია არასაჭირო ინფორმაციას, რომელსაც არანაირი შეხება არ აქვს წარმოდგენილი პროექტის გარემოზე ზემოქმედებასთან (რეგიონის დემოგრაფია, ისტორია, მონაცემები ისტორიასა და კულტურაზე, მუშებისათვის პირველადი დახმარების გაწევის ინსტრუქციები და ა.შ.). ანგარიშში გაუმართლებლად დიდი ადგილი ეთმობა პროექტის ტექნიკურ საკითხებს, რაც არაა ეკოლოგიური ექსპერტიზის განხილვის საგანი, არამედ მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო მონაცემებია. ანგარიშში, ასევე, დიდი ადგილი უკავია და დაწვრილებითაა აღწერილი ისეთი საკითხები, როგორცაა ჰაერის დაბინძურება, ნარჩენები, ხმაური, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, სასმელი წყალი, კანალიზაცია და ა.შ. ასეთი მცირე მასშტაბის სამრეწველო ობიექტის შემთხვევაში, გარემოზე ასეთი ტიპის ზემოქმედებები არაარსებითია.

### კონკრეტული შენიშვნები და კომენტარები

1. გზმ ანგარიშში (გვ. 69-72) არასრულყოფილადაა აღწერილი რეგიონის ტურისტული პოტენციალი და ინფრასტრუქტურა. არაა ნახსენები ბოლო პერიოდში გახსნილი სასტუმროები. არ არის აღწერილი ყაზბეგის რაიონისათვის ისეთი ტრადიციული და მნიშვნელოვანი ტურიზმის სახეები, როგორცაა ეკოტურიზმი, ბერდვოჩინგი, პილიგრიმობა, სამეცნიერო ტურიზმი, ალპინიზმი.
2. ძალზე არადამაჯერებელია ანგარიშის 219-ე გვერდზე მოყვანილი მტკიცება: „შპს „ყაზბეგი ჰესი“-ს ადმინისტრაცია ბოლო 6 თვის განმავლობაში სისტემატურად აწარმოებს მდ. ბროლისწყლის ხეობაში გადაადგილებული ვიზიტორების მონიტორინგს (ხეობაში ასასვლელი გზის მიმართულებით დამონტაჟებულია ვიდეოკამერა, რომელიც აღრიცხავს ხეობაში გადაადგილებულ ყველა პირს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მონიტორინგის შედეგების მიხედვით, აღრიცხულა არ არის ხეობაში გადაადგილებული არცერთი ვიზიტორი“. თვალშისაცემია, რომ ასეთი წინადადება საჭირო გახდა ხდის ხეობის მნიშვნელობის დასაკინებლად. საქმე კი ისაა, რომ აღნიშნული თვეების განმავლობაში არ ტარდება ალპინიადები, ხოლო ვიზიტორების თავისუფალ გადაადგილებას ზღუდავენ მესაზღვრეები.
3. საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები არასაკმარისია. როგორც ანგარიშის ტექსტიდან ჩანს, უარყოფითი ეკოლოგიური დასკვნის შემდგომ ახალი კვლევები არ ჩატარებულა. კვლავაც არ არის შესწავლილი მდინარის ჰიდროლოგია და მყარი ჩამონატანი.
4. საშუალო წლიური ხარჯის „ნორმად“ დადგენის მეთოდი არასწორია. როგორც აღნიშნული იყო წინა გზმ პროექტის შეფასებისას ექსპერტების მიერ, ირიბი მეთოდით გამოთვლილი საშუალო მრავალწლიური ხარჯი ისედაც დიდ ცდომილებას მოიცავს, რაც არ გამორიცხავს, რომ შემოთავაზებული 10% რეალურად მნიშვნელოვნად ნაკლები აღმოჩნდეს.
5. მდინარის ბუნებრივ კალაპოტში წყლის ასეთი მცირე რაოდენობის დატოვების „დასაბუთება“ არ შეესაბამება ცივილიზებულ სამყაროში მიღებულ თანამედროვე მეთოდოლოგიებს და ეს უზრალოდ დრომოჭმულ საბჭოთა მეთოდოლოგიასთან ხელოვნურად მისადაგებით მიღებული შედეგია. ჩვენი რეკომენდაციაა ინვეტორებისა და საკონსულტაციო კომპანიებისათვის, ანალოგიური პროექტების მომზადებისას ისარგებლონ თანამედროვე ლიტერატურით და მეთოდოლოგიებით და არა საბჭოთა პერიოდის ლიტერატურით, რომელიც ანაქრონიზმს წარმოადგენს და არანაირად არ პასუხობს გარემოს დაცვისა და მდგრადი გამოყების თანამედროვე მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში, გზმ შესარულებს თავის მოვალეობას - უზრუნველყოფს ოქროს შუალებს განვითარების პროექტებსა და გარემოს დაცვას შორის; ამავდროულად, ქვეყანას თავიდან აარიდებს ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების დაკარგვას, ხოლო ინვესტორებს - გაუმართლებელი პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში ხარჯის გაწევას.

6. პროექტის განხორციელების შედეგად პრაქტიკულად ნადგურდება ხდის ბუნების ძეგლი, უნიკალური, თითქმის ხელუხლებელი ლანდშაფტი. ამ ზემოქმედების შეფასებისას, მთელ ანგარიშში აქცენტი გაკეთებულია ვიზიტორებზე/ტურისტებზე და საერთოდ უგულვებელყოფილია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები და მათთვის ხდის ხეობის კულტურული მნიშვნელობა.

7. ბოტანიკურ ნაწილში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის დეტალური ბოტანიკური დახასიათება (4.3.5.2) და სენსიტიური ტერიტორიები (4.3.5.3). თუმცა, ტექსტიდან ბოლომდე გაუგებარია, რომელი სახეობები/პოპულაციები განადგურდება მშენებლობის შედეგად. საერთოდ არაფერია ნათქვამი, რა სახის ზეგავლენას იქონიებს (სახეობების მიხედვით) ფლორაზე ზედაპირული წყლისა და მიწისქვეშა წყლების შემცირება.

8. გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება 4.3.5.5 თავი (ყაზბეგი ჰესის საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-ტყის აღრიცხვა). საბოლოო ჯამში ანგარიშიდან გაუგებარი რჩება, რამდენი ხე (ინდივიდი) მოიჭრება პროექტის განხორციელების შედეგად, რომელი სახეობის, ასაკის და რა ზეგავლენას იქონიებს ეს ნიადაგის სტრუქტურასა და ფაუნაზე. ინფორმაცია, თუ რამდენი კუბური მეტრი მერქანის მოპოვებაა შესაძლებელი ამ ტერიტორიაზე, არანაირი გარემოსდაცვითი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ინფორმაცია ღირებული იქნებოდა, თუ საქმიანობის მიზანი იქნებოდა საშემე ან სამასალე მერქნის მოპოვება და არა ჰესის მშენებლობა.

9. გაუგებარია ტყის ჭრის შედეგად დაზიანებული გარემოს საკომპენსაციო სამუშაოების შესახებ მოცემული ინფორმაცია. ქვეთავში 4.3.5.5.4 აღნიშნულია, რომ არ არის საჭირო აღდგენითი სამუშაოების განხორციელება, ვინაიდან „2-3 წელიწადში, მაქსიმუმ 4-5 წელიწადში, ამ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ ფიჭვის აღმონაცენით და მოზარდით იქნება ბუნებრივად დაფარული“. ასეთი მტკიცება არ მიგვაჩნია მართებულად, ვინაიდან მშენებლობის პროცესში დაზიანდება ისედაც მწირი ნიადაგის ფენა, რაც გამორიცხავს ადამიანის ჩარევის შედეგად ასე მოკლე ხანში ტყის კორომის აღდგენას.

10. გზმ ანგარიშის მომზადებისას ჩატარებული ზოოლოგიური კვლევები აშკარად არასაკმარისია, განსაკუთრებით, ძუძუმწოვრების შემთხვევაში. მათში 3 დღისა და ივნისში 4 დღის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით შეუძლებელია სარწმუნო ინფორმაციის მოპოვება „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველებზე: აღმოსავლეთ კავკასიურ ჯიხვზე, დათვზე, ფოცხვერზე, განსაკუთრებით კი, წავზე. შესაბამისად, მიღებული დასკვნები საკმაოდ ზედაპირული და არადაამაჯერებელია.

11. 151-ე გვერდზე თევზების შესახებ მოცემული ინფორმაცია მეტად არათანამიმდევრული და გაუგებარია, მოცემულია სხვადასხვა მონაცემი და არ არსებობს არცერთი წინადადება, რომელიც გასაგებს გახდიდა, რომელი სახეობის თევზები ბინადრობენ საკვლევ ტერიტორიაზე.

12. გზმ ანგარიშში დაცული სახეობების შესახებ მოცემული ინფორმაცია წინააღმდეგობრივი და არასანდოა. არასწორია მტკიცება (გვ. 163) თითქოს კანონმდებლობით დაცული სახეობები - ჯიხვი, არჩვი, დათვი, ფოცხვერი და წავი - მდ. ბროლისწყლის ხეობაში არ ბინადრობენ.

13. საკამათო და არასარწმუნოა ფაუნის სახეობების აღრიცხვისათვის მოსახლეობიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენება. ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლისათვის კითხვის დასმა იმის თაობაზე, მოპოვებული აქვს, თუ არა კანონმდებლობით დაცული სახეობა, ნიშნავს სისხლის სამართლის დანაშაულზე აღიარებითი ჩვენების თხოვნას. სარწმუნოებისათვის, სულ მცირე, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო გამოკითხულთა რაოდენობა, ანკეტები, კითხვები და ა.შ.

14. გზმ ანგარიშში პროექტის განხორციელების სასარგებლო არგუმენტად მოყვანილია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე დაცული სახეობების (წავი, კალმახი) პოპულაციები ძალიან მცირერიცხოვანია. სინამდვილეში, ეს კიდევ უფრო მეტი არგუმენტია პროექტის საწინააღმდეგოდ: საქმე ისაა, რომ თუ პოპულაცია მცირერიცხოვანია (ამიტომაც არის დაცული ეროვნული „წითელ ნუსხით“ და საერთაშორისო შეთანხმებებით), ის კიდევ უფრო მგრამობიარეა ჰაბიტატის დეგრადაციის მიმართ. შესაბამისად, შემოთავაზებული დიზაინით პროექტის

განხორციელება, რაც გულისხმობს მდინარის ბუნებრივ კალაპოტში 10% ბუნებრივი ჩამონადენის დატოვებას, ძალზე სერიოზულ ზიანს მიაყენებს დაცულ სახეობებს.

15. პროექტის ალტერნატივები არადაამაკმაყოფილებლადაა წარმოდგენილი. შესაბამისად, არაქმედების ვარიანტის უარყოფის მიზნით მიღებულია არასწორი, ტენდენციური დასკვნა: „ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე გარემოზე მიყენებული მავნე ზემოქმედების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი მხარეები“. თავად გზშ ანგარიშიდანაც დასტურდება, რომ პროექტის განხორციელების შედეგად სარგებელს მიიღებს მხოლოდ მისი განმახორციელებელი, საზოგადოებრივი ინტერესების შელახვისა და გარემოს დეგრადაციის ხარჯზე. ასეთი დასკვნის მისაღებად არ არის განხილული გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივებიც, რომელთა თანახმადაც, უზრუნველყოფილი იქნებოდა მდინარის ბუნებრივ კალაპოტში ისეთი ოდენობით წყლის დატოვება, რომელიც შედეგადაც არ შეიცვლებოდა ეკოლოგიური გარემო და ლანდშაფტი.

16. არასწორი და სრულიად მიუღებელია, როდესაც განხილვის გარეშე იქნა გამორიცხული გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ყველაზე უფრო მისაღები ალტერნატივა: „სათაო კვანძის მოწყობა შესაძლებელია, ასევე წყალვარდნილის ძირზე, მაგრამ ძალზე დაბალი ენერგეტიკული პოტენციალის გამო ამ ვარიანტის განხილვა მიზანშეწონილად არ ჩაითვალა“ (გვ. 168). - ამიტომ, სამინისტროში გზშ ანგარიშის წარდგენამდე აუცილებელია გზშ ანგარიშში დაემატოს ეს ვარიანტიც. მითუმეტეს, ის სარგებელი, რომელსაც ინვესტორი პირდება რაიონს და ცდილობს დადებითად განაწყოს საზოგადოება, პრაქტიკულად იგივე დარჩება (სამუშაო ადგილები, გადასახადები).

17. თავი 6. „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, 6.1 გზშ-ს მეთოდოლოგიის ზოგადი პრინციპები“ - ცხრილების სახით მოცემულია მეთოდოლოგია და გარემოზე სხვადასხვა ტიპის ზემოქმედების კლასიფიკაცია. საჭიროა განიმარტოს, საიდან არის აღებული ეს მეთოდოლოგია და მიეთითოს შესაბამისი წყარო.

18. 206-207 გვერდებზე ცხრილის სახით მოცემული მეთოდიკის მიხედვით, ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე იქნება „მაღალი“ ან „მაღიან მაღალი“, თუმცა, ტექსტში გაუგებარი არგუმენტაციის შედეგად, ზემოქმედება შეფასებულია, როგორც „საშუალო“.

19. ანგარიშში, საბჭოთა ტერმინი „სანიტარული ხარჯი“ ხელოვნურადაა ჩანაცვლებული „ეკოლოგიური ხარჯით“, თუმცა, ეს არ არის გაკეთებული ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

20. 209-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „ეკოლოგიური ხარჯის ეს რაოდენობა წყალმცირობის პერიოდში არ იქნება საშუალო თვიური ხარჯების 11,6%-ზე ნაკლები“. თუმცა, ნათლად ჩანს, რომ ივნისსა და სექტემბერში, როდესაც ძალზე მნიშვნელოვანია წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობა, როგორც ბიომრავალფეროვნების, ისე ლანდშაფტის თვალსაზრისით, პროექტის გამო რჩება დაახლოებით 7%-ი.

21. 209-ე გვერდზე აღნიშნულია: „დადგენილი ეკოლოგიური ხარჯი გარკვეულად შეამცირებს ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ხარისხს“. ანგარიშში უნდა ნათლად ითქვას, რას გულისხმობს ეს „გარკვეულად“ და მკაფიოდ დასაბუთდეს, გამოიწვევს, თუ არა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას. გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენი პროცენტი რჩება, არამედ რა რაოდენობაა ეს შემოთავაზებული საშუალო წლიური 10%-ი. 0,21 კუბ.მ წყლის დატოვება 10 თვის განმავლობაში ძალზე მცირე რაოდენობაა, რაც თანდათანობით აუცილებლად გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას.

22. 209-ე გვერდზე აღნიშნულია: „თუ გავითვალისწინებთ, რომ სადაწნეო მილსადენის დერეფანში ძირითადად წარმოდგენილია ფიჭვის ხეები, რომელიც ამ რეგიონში სწრაფი თვითაღდგენის თვისებით

ხასიათდება 5-6 წლის შემდეგ ეს ტერიტორია მიუახლოვდება თავდაპირველი მდგომარეობის იერსახეს“. მტკიცება არარეალისტურია, ვინაიდან დღესათვის 5-6 წელზე გაცილებით ხნიერი ხე-მცენარეები გვხვდება ამ ტერიტორიაზე. მითუმეტეს, არარეალისტურია პროგნოზი, ვინაიდან სადერივაციო მილის გაყვანის სამუშაოების შედეგად, ნიადაგის საფარი განადგურდება.

23. გაუგებარია, რა ბედი ეწევა საბოლოოდ მშენებლობისას მოხსნილ და დასაწყობებულ ნიადაგს.

24. გაუგებარია, რის მიხედვითაა ჩათვლილი ლანდშაფტზე ზემოქმედება „საშუალო ზემოქმედებად“ (6.8.2.2.), როდესაც მეთოდოლოგიურ ნაწილში მოცემული ცხრილის თანახმად, არის „მაღალი“ ან „მაღიან მაღალი“.

25. საკომპენსაციო ღონისძიებებში მოცემული ქმედებები საკმაოდ არასერიოზული და ზოგ შემთხვევაში, ანეგდოტურია. მაგალითად, ჩანჩქერების გაქრობის და ჰაბიტატების დეგრადაციის შემარბილებელი ღონისძიება ვერაფრით ვერ იქნება „ჰესის შენობის გარშემო დეკორატიული ხე-მცენარეების დარგვა გახარება“ ან „სათაო ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე, წინასწარ შერჩეულ წერტილში სპეციალური გადმოსახედი ნაგებობის მოწყობა, საიდანაც ხილული იქნება დარიალის ხეობა დარიალის ციხე და სხვა“. პირიქით, ასეთი ქმედებები კიდევ უფრო ზრდის გარემოზე ზემოქმედებას, ვინაიდან დაკავშირებულია გარემოში ინვაზიური სახეობების გავრცელებასთან ან ბუნებრივ, ხელუხლებელ ლანდშაფტში კიდევ უფრო უხემ ჩარევასთან.

26. 222-ე გვერდზე (6.9.2 ზემოქმედება მცენარეულ საფარსა და ჰაბიტატის მთლიანობაზე) აღნიშნულია: „აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით მოხდება საპროექტო დერეფნის კომპლექსური აღდგენის გეგმისა და საკომპენსაციო ღონისძიებების შემუშავება“. ასეთი გეგმა მომზადებული უნდა ყოფილიყო პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე და გამოქვეყნებულიყო საჯარო განხილვებისათვის, გზმ ანგარიშთან ერთად.

27. ანგარიშში რეკომენდირებულია მნიშვნელოვანი საკონსერვაციო ღირებულების მცენარეთა გადატანა „შესაბამის საკონსერვაციო ცენტრებში“, მაგრამ არ არის მითითებული, რომელ ცენტრებზეა საუბარი ან არსებობს თუ არა რაიმე ტიპის შეთანხმება.

28. 223-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ მოხდება გაჩეხილი ტყის აღდგენა, თუმცა ქვეთავში 4.3.5.5.4 აღნიშნულია, რომ არ არის საჭირო ტყის აღდგენითი სამუშაოების განხორციელება. ეს საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

29. არასრულყოფილადაა ანგარიშში მოცემული ზემოქმედება ცხოველთა სამყაროზე (6.9.4). არ არის განხილული და დასაბუთებული, გაიყინება, თუ არა ზამთრის პერიოდში 0,21 კუბ.მ მოცულობის ნაკადი და რა ზიანი მიადგება ცხოველთა სამყაროს.

30. არასწორია მტკიცება იმისა, რომ კალმახის მიგრაცია ხდისწყალში შეუძლებელია, რადგან წყალვარდნილი ძალზე სწრაფი და წყალუხვია და კალმახი მას ვერ დაძლევს. ძალზე წყალუხვი ეს მდინარე არის ივლის-აგვისტოში, ხოლო ლიტერატურის მიხედვით, კალმახის ტოფობა მიმდინარეობს სექტემბერ-თებერვალში. მიგრაციისათვის მნიშვნელოვანია, რომ მდინარეში იყოს საკმარისი რაოდენობით წყალი იმისათვის, რომ თევზმა შეძლოს დინების აღმა ასვლა. შემოთავაზებული პროექტის თანახმად კი, სექტემბერში რჩება ბუნებრივი ნაკადის 7,3%-ი, ოქტომბერში - 12,7%-ი, ნოემბერში - 18,1%-ი, დეკემბერში - 22,3%-ი, იანვარში - 30%-ი და თებერვალში - 28,7%-ი. თუმცა, ზამთრის თვეებში დატოვებული რაოდენობა იმდენად მცირეა (0,21 კუბ.მ), რომ დიდი ალბათობით წყალი გაიყინება. ეს კი ნიშნავს, რომ პრობლემა დგება არამარტო კალმახისათვის. ამით, მდინარის ხეობის დაახლოებით 10%-ი, ხოლო ზამთრის ჰაბიტატის 25-30%-ი, რჩება ძუძუმწოვართა, მათ შორის, დაცული სახეობების, დასარწყულებელი ადგილების გარეშე.

31. არასწორადაა განმარტებული ანგარიშში ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე. პროექტის განვითარების შედეგად საბოლოოდ დაირღვევა ყაზბეგის ეროვნული პარკის ეკოსისტემების მთლიანობა. ეს მთლიანობა

საბჭოთა პერიოდში (ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალი, რომლის პერიმეტრსაც იმეორებს ახლანდელი ეროვნული პარკი) უზრუნველყოფილი იყო იმით, რომ ხდის ხეობა წარმოადგენდა ბუნების ძეგლს. საბჭოთა კანონმდებლობის გაუქმების შემდგომ ხეობამ დაკარგა ბუნების ძეგლის ოფიციალური სტატუსი. სახელმწიფო კომისიამ, რომელიც შეიქმნა იმისათვის, რომ ბუნების ძეგლებს აღდგენოდა დაცვის სამართლებრივი სტატუსი, იმსჯელა ხდის ხეობის შესახებ. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა მისთვის ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭება, ვინაიდან მისი ნაწილი ჰესის მშენებელი კომპანიის საკუთრებაშია, ხოლო ბუნების ძეგლის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, აკრძალულია კერძო საკუთრება. ამდენად, ყაზბეგის დაცული ტერიტორიის ეკოლოგიური ერთიანობის უზრუნველყოფისათვის პროექტი სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს.

32. დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი პროექტის გავლენის უარყოფის მიზნით, მოხსენიებულია „ტრანსსახელმწიფო გაერთიანების სამდივნოს (TJS)“ მიერ მომზადებული ანგარიში. გზმ დოკუმენტში არასწორადაა ინტერპრეტირებული ზემოხსენებული ანგარიში. ეს არის ე.წ. მისიის ანგარიში, რომელსაც უნდა შეეფასებინა დარიალის ჰესისა და „რუმს ოტელის“ გეგმების ზეგავლენა ყაზბეგის ეროვნულ პარკზე. ლარსი ჰესისა და ხდის ჰესის პროექტები აქ დამატებითაა შეტანილი. აღსანიშნავია, რომ ამ ანგარიშშიც კი, რომლის დადებით კონტექსტზეც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული TJS-ის დაფინანსების გაგრძელება, ვერ დაიმალა შემფოთება ხდისწყალზე ჰესის მოწყობის პროექტის გამო. მისიისა და მისიის ანგარიშის შედგენის პერიოდში, ხდის ჰესის გზმ ანგარიში არ იყო გამოქვეყნებული; კონსულტანტებმა მხოლოდ ჰესის მშენებლობის გეგმების შესახებ იცოდნენ და იხილეს ნებართვის გაცემამდე განხორციელებული გზის მშენებლობა. მისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 5 მეგავატი სიმძლავრის ჰესის აშენება მთლიანად ან თითქმის მთლიანად წაიღებს მდინარიდან წყალს, რაც დაანგრევს ლანდშაფტს და წყლის ჰაბიტატს. ანგარიშში გაწეულია რეკომენდაცია, რომ მონიტორინგის საფუძველზე, დადგინდეს ეკოლოგიური ხარჯის ის რაოდენობა, რომელიც ამ პროცესს არ გამოიწვევს. ალტერნატივად შემოთავაზებულია არსებული ყაზბეგი ჰესის გაუმჯობესება<sup>1</sup>. გზმ ანგარიშიდან ნათელია, რომ TJS-ის მისიის რეკომენდაციები არ არის გათვალისწინებული.

33. გვ. 246. „6.12 ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ საკითხებზე“ - ამ თავის სათაური გაუგებარია. რას ნიშნავს „ისტორიულ-კულტურული საკითხები“? თუ საუბარია ისტორიულ და კულტურულ ღირებულებებზე, არასწორია მისი დაყვანა მხოლოდ ძეგლების არსებობა-არარსებობაზე.

34. კუმულატიური ზემოქმედება მცდარად და ტენდენციურადაა განხილული, ვინაიდან ლანდშაფტურ და ბიოლოგიური მრავალფეროვნებას ისედაც დიდი ზიანი ადგება დარიალ-ჰესისა და ლარსი-ჰესის მშენებლობით. აღსანიშნავია, რომ დარიალ-ჰესთან დაკავშირებით გამართული დებატებისა და სასამართლო პროცესების დროს, კომპანიის წარმომადგენლები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ არც თერგში არ გვხვდება დაცული სახეობები - კალმახი და წავი.

35. 275-ე გვერდზე ბიოლოგიური მონიტორინგის მეთოდად განსაზღვრულია „ვიზუალური კონტროლი“, რაც მეტად არასერიოზული შემოთავაზებაა და კომენტარებსაც კი არ ექვემდებარება.

<sup>1</sup> ციტატები ანგარიშიდან: A third HPP is proposed on the Khadistskali River which is a right bank tributary of the Terji just downstream of the DHPP powerhouse; this will be an upgrade of the existing Kazbegi HPP (320 kW). The Khadistskali River side stream is in a beautiful gorge with a series of cascades. The cascades are surrounded by KNP on either side of the valley. The project will involve upgrading of existing Kazbegi HPP. A 1 km right bank road along the river has been upgraded and extended a further 300m recently by the Dariali/Larsi HPP contractor; it is intended to implement a 5 MW project in the small stream which will probably take most/all of the flow. There appears to be no EIA for the project and the KNP and APA is an important stakeholder. Taking all the stream flow will destroy scenic and aquatic habitat. At very least an environmental flow should be retained in this river.; **D.3.2 Khadistskali Impact and Mitigation** No EIA seems to have been submitted for this project and work has begun on an access road. MoEP inspectors and APA should follow up with the project developer to ensure an EIA is lodged with MoEP. Impacts on the series of cascades would be dramatic if all water was taken for power generation. Other alternatives could be examined to upgrade the Kazbegi HPP. The KNP should ensure that it is involved in any EIA consultation meetings.